სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №102

ქ. ლანჩხუთი 21.08.2017 წელი

ერთი მხრივ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი **ა(ა)იპ „ლანჩხუთი–სერვისი“** (შემდგომში ,,შემკვეთი'') წარმოდგენილი მისი დირექტორის, თენგიზ ჭიჭილეიშვილის სახით და მეორე მხრივ, **შპს „სამკუთხედი“ მისი დირექტორი ზაზა ჩხაიძე** (შემდგომში „შემსრულებელი”) წარმომადგენელი ზაზა ჩხაიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის შესაბამისად ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - ,,ხელშეკრულება“) - ,,შემკვეთსა“ და ,,შემსრულებელს“ შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს ,,შემკვეთმა“ ,,შემსრულებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 ,,დღე“. ,,კვირა“, ,,თვე“-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 ,,შემკვეთი“- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შეკვეთას.

1.5 ,,შემსრულებელი“ - პირი, რომელმაც შემკვეთ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.6 ,,მხარე“ - ,,შემკვეთი“ ან/და ,,შემსრულებელი“.

1.7 ,,მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 დასუფთავება და სანიტარული მომსახურება(**CPV** 90900000).
ავტოსადგომის დასუფთავებასთან დაკავშირებული მომსახურება(**CPV** 90914000).
(რკინიგზის მიმდებარე ტერიტორია)

საფუძველი: მონეტალური ზღვრების დაცვით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **3979,00** (სამიათასცხრაასსამოცდაცხრამეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ,,შემსრულებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 ,,შემსრულებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება იწარმოებს მხარეთა მიერ ,,შემსრულებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

4.3 ანგარიშსწორების ვადა: 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ,,შემსრულებლის“ მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად შესაბამის შესრულების აქტზე ხელმოწერის დღიდან.

5.2 ,,შემკვეთის“ მხრიდან შესრულების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილია ინსპექტირების ჯგუფი.

5.3 შესრულების აქტში მითითებული უნდა იყოს:

ა) ,,შემსრულებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა.

ბ) ,,შემსრულებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულება;

6. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

6.1 შემკვეთის ადგილად განისაზღვრება ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქუჩა #76.
6.2 შესრულების ვადაა 2017 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
7.1 ,,შემკვეთი" უფლემაბოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს ,,შემსრულებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) არ ჩაიბაროს უხარისხოდ შესრულებული სამუშაო.
7.2 ,,შემსრულებელი" ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ,,შემკვეთის" მხრიდან ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
7. ,, შემსრულებელი" უფლებამოსილია

ა) მოსთხოვოს ,,შემკვეთს" ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული, ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.4 ,,შემსრულებელი" ვალდებულია:

ა) სრულიად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.
ბ) იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება ტექნიკური დავალების მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება.
8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ,,შემკვეთის" შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.
8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) ,,შემსრულებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.
ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ,,შემსრულებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.
გ) ,,შემსრულებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს დასკვნით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება ,,შემსრულებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.
8.3 ,,შემსრულებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრათან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,შემსრულებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის
9.1 ,,შემსრულებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, ,,შემსრულებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5% -ის ოდენობით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით ,,მიმწოდებლისათვის" გადასახდელი თანხიდან.
9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა
10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გაწეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების დასაწყისში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

14. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემკვეთი“	„შემსრულებელი“
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ლანჩხუთი–სერვისი“	შპს „სამკუთხედი“
ს/კ: 433642677	ს/კ: 404916944
ა/ა:GE24NB0330100200165022	ა/ა: GE77PC0463600100008921
სახელმწიფო ხაზინა	სს „პროკრედიტ ბანკი“
ბ/კ: TRESGE22	
მის: ქ. ლანჩხუთი ჟორდანიას ქ №76 T 591 19 23 03	მის: ქ. ლანჩხუთი ჟორდანიას ქ N 114
დირექტორი: /თ. ჭიჭილეიშვილი/	დირექტორი: /ზ.ჩხაიძე/